

## სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი მიზანია. რთული სააზროვნო უნარ ჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას ხელს უწყობს ისეთი სტრატეგია, როგორცაა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.

ჩვენი, მასწავლებლების მიზანია, ავუხსნათ მოსწავლეებს ამა თუ იმ თემის ღირებულება, რისთვის არის საჭირო ამ თემის შესწავლა მისთვის და რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ თემის უცოდინრობამ. ანუ, გავუღვივოთ მოტივაცია საკითხისადმი. დავეხმაროთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში.

მოსწავლე მაშინ იქნება წარმატებული და მოქნილი აზროვნების მქონე, თუ მას შეუძლია ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება, ანუ ტრანსფერის უნარის გამომუშავება. ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა სწავლის პროცესი ისე დაგეგმოს, რომ ტრანსფერი განხორციელდეს. მასწავლებელი უნდა მიეხმაროს მოსწავლეებს გაკვეთილზე ნასწავლი საკითხი დაუკავშიროს მსგავს თემებს სხვა სფეროში. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეები იძენენ ცოდნას და უნარ- ჩვევებს, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ სხვა პრობლემის გადაჭრის დროს. მაგალითად, მოახდინონ ტრანსფერი ფიზიკის გაკვეთილზე შესწავლილი მასალისა „ხახუნი ბუნებასა და ტექნიკაში“. ანუ ხახუნის სასარგებლო და საზიანო თვისებები გამოიყენონ ყოფა-ცხოვრებასა და ტექნიკაში. თუ ხახუნი სასარგებლოა ეცადონ სხვადასხვა ხეხრებით მის გაზრდას, მაგალითად, ადამიანს უჭირს მოლიპულ გზაზე სიარული, ფეხი რომ არ დაუცურდეს, ყრიან ქვიშას. დამუხრუჭებისას ხახუნის ძალა აჩერებს ავტომობილს, ხახუნის გასაზრდელად ავტომობილის საბურავებს ჭდეებიან ზედაპირს უკეთებენ და სხვ.

როცა ხახუნი საზიანოა, ეცადონ მის შემცირებას. მაგალითად ყველა მანქანაში ხახუნის გამო ცხელდება და ცვდება მოძრავი ნაწილები. ხახუნის შესამცირებლად შემხებ ზედაპირებს აგლუვებენ და მოხახუნე ზედაპირებს შორის შეაქვთ საპოხი. ტექნიკასა და ყოფა-ცხოვრებაში საპოხად ფართოდ გამოიყენება სხვადასხვაგვარი ზეთი. ხახუნის ძალის მნიშვნელოვან შემცირებას აღწევენ მაშინაც, როდესაც სრიალს ცვლიან გორვით და სხვ.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების დროს აუცილებელია მასწავლებელმა სწორად შეარჩიოს პრობლემური ტიპის ამოცანები, შეუქმნას მოსწავლეს მხარდამჭერი გარემო, მოევიწიოს მას „ფასილიტატორის“ როლში, რაც მოსწავლეს ეხმარება პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ სწავლაზე და გახდეს აქტიური შემმეცნებელი, ხოლო

მოსწავლემ უნდა მოახდინოს ცოდნის სისტემატიზაცია და სკოლაში მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირება. სწავლა მოსწავლისთვის გახდება უფრო საინტერესო და სახალისო, რაც გაზრდის მის შინაგან მოტივაციას და განუვითარდება მაღალი სააზროვნო უნარ-ჩვევები.

მინდა გაგაცნოთ ჩემი ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმა. გაკვეთილი IX კლასში ჩავატარე. მიღწეული შედეგიდან გამომდინარე ვიქრობ, მიზანს მივაღწიე. მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი ჯგუფურ სამუშაოს, როლებში კარგად შევიდნენ და მოიფიქრეს პრობლემის გადაჭრის მრავალფეროვანი გზები.

### გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი გვარი, პირადი ნომერი: მზია კუპრაშვილი- აბრამიშვილი

საგანი: ფიზიკა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო, IX

მოსწავლეთა რაოდენობა: 19

გაკვეთილის თემა: ხახუნის ძალა. ხახუნი ბუნებასა და ტექნიკაში

გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული სამოდულო გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ხახუნის წარმოქმნის მიზეზის გააზრება.საზიანო და სასარგებლო ხახუნის ერთმანეთისგან გარჩევა.ხახუნის ძალის შემცირების ან გაზრდისათვის კონკრეტული პრობლემის გადაჭრა.

მოსწავლეებს განუვითარდებათ: ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, ანალიტიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი, პრობლემის დასმისა და მისი გადაჭრის უნარ-ჩვევები.

ე ს გ - ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი.

ფიზ. IX. 6 მოსწავლეს შეუძლია სხეულთა მოძრაობის და ურთიერთქმედების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე

\*აღწერს ნიუტონის კანონების პრაქტიკული გამოყენების მაგალითებს;

\*გეგმავს და ატარებს ცდებს სხეულების დინამიკის შესასწავლად.

\*შედეგებს აანალიზებს და გამოიტანს შესაბამის დასკვნებს

N	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი /მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. მოსწავლეებისთვის გაკვეთილის თემის, მიზნისა და შეფასების გაცნობა	ვერბალური	მთელი კლასი		2 წთ
2	წინარე მასალის გააქტიურება.  პრობლემის განსაზღვრა-  რა მოხდებოდა ხახუნის გარეშე ან პირიქით ხახუნი რომ გაიზარდოს?  მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ რომ ამ „პრობლემის“ გადაჭრა მოუწევდათ როლური თამაშით ამიტომ მათ უნდა მოემძიებიათ შესაბამისი ინფორმაციები და სლაიდების სახით წარმოედგინათ. დაფაზე ვწერ როლებს: *ბრალდებული- ხახუნი *ბრალმდებელი *დამცველი *მოსამართლე *ექსპერტი	დისკუსია	მთელი კლასი		5წთ
3	როლებით თამაში  ჯგუფიდან „ბრალმდებელი“  მოსწავლეები ასახელებენ საზიანო ხახუნის მაგალითებს. მაგ. ხახუნის გამო ცვდება მანქანის მოძრაობის ნაწილები, გვიჭირს მოლიპულ გზაზე სიარული და სხვა..	პრეზენტაციები. სლაიდების ჩვენება	ჯგუფური	კომპიუტერი პროექტორი ფლიპჩარტის ფურცელი, მარკერი	26წთ

<p>წარმოადგენენ შესაბამის ფოტოებს სლაიდის სახით</p> <p>ჯგუფიდან „ბრალდებული“</p> <p>მოსწავლეები „იმართლებენ“ თავს და დასახელებული მაგალითების შესაბამისად გვთავაზობენ გამოსავალს. ხახუნის გაზრდის ან შემცირების გზებს.</p> <p>ჯგუფიდან „დამცველი“</p> <p>მოსწავლეები ასახელებენ სასარგებლო ხახუნის მაგალითებს: მაგ. ხახუნი რომ არ არსებობდეს ხელში ვერაფერს დავიჭერდით, არა თუ სიარულს ფეხზე დგომასაც ვერ შევძლებდით და ა. შ. წარმოადგენენ შესაბამის ფოტოებს სლაიდის სახით.</p> <p>ჯგუფიდან „ექსპერტები“</p> <p>მოსწავლეები აფასებენ რამდენად სწორად შეასრულეს ჯგუფებმა როლები. საკმარისად იყო თუ არა არგუმენტები მოყვანილი.</p> <p>„მოსამართლე“</p> <p>არეგულირებს პროცესს და იღებს გადაწყვეტილებას ხახუნის ძალის როგორც „ბრალდებულის“ ანუ „პრობლემის“ შესახებ . ხახუნის ძალის დადებითი და უარყოფითი თვისებები თითქმის უთანაბრდება ერთმანეთს. პრობლემის გადაჭრის გზები მოძებნილია. „ბრალდებული ხახუნი“ გათავისუფლებულია.</p>				
---	--	--	--	--

4	<p>გაკვეთილის შეფასება</p> <p>ცალკეულ აქტივობებზე დაკვირვების საფუძველზე. ჩანიშნული უზუსტობების და ხარვეზების შესახებ მასწავლებელი აკეთებს კომენტარს და აჩვენებს სიმულაციებს ხახუნის ძალის მოქმედების შესახებ. აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას</p>	კითხვა- პასუხი სიმულაციის ჩვენება	მთელი კლასი	კომპიუტერი პროექტორი	10წთ
5	<p>საშინაო დავალების მიცემა</p> <p>მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას სახელმძღვანელოდან თავი 5 \$5 სავარჯიშოებზე პასუხი</p>	ვერბალური	მთელი კლასი	სახელმძღვანელო გ. გედენიძე, ე. ლაზარაშვილი ფიზიკა IX კლასი	2 წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მოსწავლეები შეძლებენ მიღებული ინფორმაციისა და სლაიდების საშუალებით განსაზღვრონ პრობლემა და მოძებნონ პრობლემის გადაჭრის გზები. კერძოდ, კონკრეტული ამოცანის განხილვისას მოსწავლეები შეძლებენ განსაზღვრონ ხახუნის ძალის გაზრდასა საჭირო თუ შემცირება.

შეფასება: მოსწავლეები შეფასდებიან მასწავლებლის მიერ წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკის მიხედვით. გამოვიყენებ, როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. (მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები თან ერთვის გეგმას)

ხელმოწერა: მ. კუპრაშვილი

თარიღი: 30.04. 2018 წ.

გაკვეთილის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	10-9 ქულა	8-7 ქულა	6-5 ქულა	4-1 ქულა
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება. პრობლემის განსაზღვრა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანიკარგად გააცნობიერა. ძირითადად სწორად განსაზღვრა პრობლემა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა. თითქმის სწორად განსაზღვრა პრობლემა	ჯგუფმა ნაწილობრივ გააცნობიერა სამუშაოს მიზანი. ნაწილობრივ განსაზღვრა პრობლემა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა, ვერ განსაზღვრა პრობლემა
პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება	ჯგუფმა ძირითადად კარგად გადაჭრა პრობლემა, მოიძიასაინტერესო ინფორმაცია ხახუნის გაზრდისა და შემცირების შესახებ	ჯგუფმა გადაჭრა პრობლემა, მოიძია ინფორმაცია ხახუნის გაზრდისა და შემცირების შესახებ.	ჯგუფმა ნაწილობრივ გადაჭრა პრობლემა. მოიძია მწირი ინფორმაცია ხახუნის გაზრდისა და შემცირების შესახებ	ჯგუფმა ვერ გადაჭრა პრობლემა. ვერ მოიძია ინფორმაცია ხახუნის გაზრდისა და შემცირების შესახებ
შემოქმედებითობა	ჯგუფის წევრები ხალისით ერთვებიან თამაშში, ამჟღავნებენ დიდ ინტერესს და ენთუზიაზმს, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების უნარს	ჯგუფის წევრები ნაკლები ხალისით ერთვებიან თამაშში. ამჟღავნებენ ინტერესს და ენთუზიაზმს თუმცა, ნაკლები შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების უნარით გამოირევიან		

<p>თანამშრომლობა</p>	<p>ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური მათ შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობა</p>	<p>ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური. მათ შორის ძირითადად პოზიტიური ურთიერთობები იყო.</p>	<p>მხოლოდ ორ-სამი მოსწავლე აქტიურობდა. ჯგუფის წევრებს შორის ნაკლებად შეინიშნებოდა თანამშრომლობა</p>	<p>ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ. ჯგუფის წევრებს შორის არ შეინიშნებოდა თანამშრომლობა</p>
<p>პრეზენტაცია</p>	<p>მოსწავლე პრეზენტაციისას საუბრობს გამართულად, დარწმუნებით. მიზნობრივად იყენებს წარმოდგენილ სლაიდებს და ინფორმაციას. პასუხობს ყველა კითხვას.</p>	<p>მოსწავლე პრეზენტაციისას საუბრობს გამართულად. თითქმის მიზნობრივად იყენებს წარმოდგენილ ინფორმაციას. პასუხობს კითხვებს.</p>	<p>მოსწავლე პრეზენტაციისას საუბრობს გასაგებად, თუმცა ხშირად ჩერდება. წარმოადგენს მწირ ინფორმაციას</p>	<p>მოსწავლე დაბნეულია. ვერ საუბრობს გასაგებად. ვერ იყენებს თვალსაჩინოებას.</p>